ბრძანება:**ბ24. 242603014**
თარიღი:**30/01/2026**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები N1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში. შეხვედრები გაიმართოს გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალისა და კაცის თანაბარი დასწრება და მონაწილეობა სხდომებზე.

2. მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის საორიენტაციო ჯამური თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით.

4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.

5.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურში, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში. შესაძლებელია მოქალაქე დაუკავშირდეს მერიის უფლებამოსილ პირს ტელეფონის ნომერზე და აუხსნას მას საკუთარი პროექტის იდეა, კომუნიკაციის შედეგად, შეთანხმების შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირმა თავად უნდა შეავსოს საპროექტო განაცხადი და პროექტის ავტორის გრაფაში მიუთითოს იდეის ავტორის მონაცემები. საპროექტო წინადადება მოქალაქის მიერ ელექტრონულად შესაძლებელია გადმოგზავნილ იქნას მერიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@zugdidi.gov.ge, საპროექტო წინადადებების მიღება მოხდეს ყოველ სამუშაო დღეს 09:00-დან 18:00 საათამდე, საპროექტო წინადადებების მიღება დასრულდეს ადმინისტრაციულ ერთეულში კრების ჩატარებამდე 3 (სამი) დღით ადრე. მერიის შესაბამის სამსახურში საპროექტო წინადადებების განხილვა, მათ ავტორ(ებ)თან კომუნიკაცია და წინადადებების სრულყოფა შეიძლება გაგრძელდეს მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგაც, მოსახლეობის მიერ განსახილველი საპროექტო წინადადებების საბოლოო ნუსხის შედგენამდე.

6.საერთო კრების სხდომაზე მსჯელობისას თუ გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ჩამონათვალში არსებული ორი ან მეტი საპროექტო წინადადების ერთ წინადადებად ტრანსფორმირება, ან გაჩნდა ახალი საპროექტო წინადადების იდეა, შესაძლებელია კრების სხდომის მსვლელობისას ადგილზე შევსებულ იქნეს ახალი საპროექტო წინადადების ფორმა და შევიდეს ცვლილებები საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში. ჩამონათვალში ცვლილების შეტანის საკითხს სხდომის თავმჯდომარე აყენებს კენჭისყრაზე და მას ხელის აწევით მხარი უნდა დაუჭიროს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ. აღნიშნული საპროექტო იდეის ავტორად მიეთითება შესაბამისი დასახლების საერთო კრება. განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა არ ითვლება სხდომის დღის წესრიგის ცვლილებად.

7.დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

8.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ირაკლი ციმაკურიძე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ.: 595-09-71-55, ელ. ფოსტა: irakli.tsimakuridze@zugdidi.gov.ge;

ლაშა ქარჩავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ.: 599-22-04-01, ელ.ფოსტა: lasha.karchava@zugdidi.gov.ge;

კობა მორგოშია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ.: 599-85-23-95, ელ. ფოსტა: koba.morgoshia@zugdidi.gov.ge;

მურმან ბოკუჩავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი სპეციალისტი. მობილურის ნომ.: 595-22-24-99, ელ. ფოსტა: murman.bokuchava@zugdidi.gov.ge;

დავით ბერულავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი სპეციალისტი. მობილურის ნომ.: 591-44-53-72, ელ. ფოსტა: davit.berulava@zugdidi.gov.ge;

9. წინამდებარე ბრძანება პროაქტიულად გამოქვეყნდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე, ბრძანება და ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაცია აგრეთვე გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ფეისბუქ-გვერდზე, დასახლებებში საჯარო შენობებსა (მერიის ადმინისტრაციულ შენობა, საბავშვო ბაღის შენობები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობები და სხვ.) და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში (ტრანსპორტის გაჩერება და სხვ.). წინამდებარე ბრძანების მოსახლეობისთვის გაცნობა ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობს მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყონ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა.

10. ბრძანებას თან ერთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროცედურებისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების ცნობარი.

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. № 12).

დათო კოდუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი